ოქმი:**ო12. 3723020001**
თარიღი:**20/01/2023**

# ოქმი № 1

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2023 წელი, 17 იანვარი

ქ.ოზურგეთი

15.00-16.00 საათი

**თავმჯდომარეობდა:** ქეთევან ხომერიკი- კომისიის თავმჯდომარე.
**ესწრებოდნენ:** კომისიის წევრები: ვლ. ხავთასი, გ. სირაძე, მ. ჩხიკვიშვილი, ნ. ჭანიშვილი, ნ. სარჯველაძე, დ. მდინარაძე, ს. ქარცივაძე, ი. თუთბერიძე, ნ. ქარჩავა, ე. გორდელაძე, ხ. თავდიშვილი, ხ. ცერცვაძე, მ. ვაშალომიძე, ქ. ვასაძე, ნ. ღაჟონია.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

**დღის წესრიგი**

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ.

**მომხსენებელი: ქ. ხომერიკი**

**თანამომხსენებელი: ნ.გოლიაძე, მ. ცელაძე**

2. კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის შესახებ.

**მომხსენებელი: ქ. ხომერიკი**

სხდომის თავმჯდომარემ, ქ. ხომერიკმა, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტი- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“, აღნიშნა, რომ საკითხი იდგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე და შენიშვნები საკრებულოში არ შემოსულა. ვრცლად კი მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა მ. ცელაძემ, რომელმაც ყურადღება ძირითადად გაამახვილა იმ ცვლილებებზე, რომლებიც განხორციელდა მიმდინარე წლის პროგრამებში, მოხსენების მოსმენის შემდეგ განხილვა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, საბოლოოდ კომისიამ იმსჯელა და მხარი დაუჭირა პროექტის წარდგენას საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს კომისიის სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული 2023 წლის სამუშაო გეგმის პროექტის შესახებ და მხარი დაუჭირეს პროექტის

საკრებულოს ბიუროს სხდომაზე წარდგენას.

**გადაწყვიტეს:**

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი N1 საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

2. სამუშაო გეგმა დასამტკიცებლად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი